20.01.2026

საქართველოს საავტომობილო
სპორტის ფედერაციის გამგეობის

დადგენილება

საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის გამგეობამ იმსჯელა იმ პრობლემებზე რომელიც გამოვლენილი იყო განვლილ წლებში, კერძოდ იმ დარღვევებზე რომელიც ეხებოდა ფედერაციის სპორტული კოდექსის შემდეგი მუხლების დარღვევას:

თავი: III პუნქტი: 3.6, 3.6.1, 3.6.2, 3.7, 3.8;

თავ: IV პუნქტი 4.1.1.2, 4.1.1.4, 4.1.1.6, 4.1.1.7;

თავი : XVI პუნქტი: 16.1, 16.2.

და მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ გასცეს 2026 წლის სარბოლო სეზონის საქართველოს ეროვნული ჩემპიონატების ორგანიზების ლიცენზია და თავად უზრუნველყოს მიმდინარე დადგენილებაში მოცემული სეზონის კალენდარში შეტანილი საქართველოს ჩემპიონატების ორგანიზება გარდა ვირტუალური სპორტის სახეობებისა.

საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის 2026 წლის კალენდარი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

საქართველოს ჩემპიონატი წრიულ რბოლაში	5 ეტაპი
საქართველოს ჩემპიონატი კარტინგში	6 ეტაპი
საქართველოს ჩემპიონატი დრიფტში	4 ეტაპი
საქართველოს ჩემპიონატი აღმართის დაძლევაში	5 ეტაპი
საქართველოს თასი წყვილთა რბოლაში	6 ეტაპი
საქართველოს თასი დრიფტში	5 ეტაპი
ზამთრის თასი	3 ეტაპი
საქართველოს ვირტუალური სპორტის ჩემპიონატი	GT3,Drift, F1

გამგეობამ იმსჯელა მოცემული ღონისძიებების გარდა კიდევ სხვა პირველობების, თასის გათამაშებების და ჩემპიონატების კალენდარში დამატების შესაძლებლობის შესახებ განაცხადების დაკმაყოფილებაზე და მიიღო გადაწყვეტილება, რომ შემოიფარგლოს მხოლოდ ზემოთ მოცემული 2026 წლის კალენდარში მითითებული რბოლებით ვინაიდან სპორტულ ღონისძიებათა გადატვირთულობიდან გამომდინარე შეუძლებელი იქნება ადმინისტრაციული და უსაფთხოების კონტროლი.

გამგეობამ ასევე იმსჯელა კალენდარში საავტომობილო სპორტის სახეობის, დრაგის შეტანის შესახებ და დაადგინა:

დრაგი არ იქნას შეტანილი ოფიციალურ კალენდარში ვინაიდან მოცემულ მომენტში ქვეყანის მასშტაბით არ გაგვაჩნია იმ სტანდარტის ავტოდრომი სადაც შესაძლებელი იქნება დრაგის უსაფრთხოდ ჩატარება.